

ალემაზი (Alemaz)

Kreolin, Sulfur

წამლის ფორმა: გარეგანი გამოყენების მაღამო, გამოიყენება ვეტერინარიაში

შემადგენლობა: მაღამოს 1გ შეიცავს: კრეოლინს 0,12 მლ, გოგირდს 0,375გ.

დამხმარე ნივთიერება: ტექნიკური ზეთი, ასკანა.

აღწერა: სქელი მაღამოს კონსისტენციის მასა, მუქი ფერის, სპეციფიკური სუნით.

გამოშვების ფორმა: 20გ და 500გ პოლიეთილენის ფლაკონში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ფუნგიციდური, ექტოპარაზიტული საშუალება

ფარმაკოლოგიური თვისებები

კომბინირებული პრეპარატი გარეგანი გამოყენებისათვის, რომელსაც გამოკვეთილი აქვს ფუნგიციდური, ექტოპარაზიტული და ანტიმიკრობული თვისებები, რაც განპირობებულია მასში შემავალი ნივთიერებების სინერგიული მოქმედებით. შემადგენელი ელემენტები უზრუნველყოფენ კანის ზედა შრეში შეღწევადობას და ანადგურებენ აღმძვრელებს, დაავადების კერის სიღრმეში.

პრეპარატი თბილისისხლიანებისთვის მცირედ ტოქსიკურია, არ ახასიათებს გამაღიზიანებელი და მასენსიბილიზირებელი მოქმედებები.

გამოყენების ჩვენებები

გამოიყენება ცხოველთა კანის სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ: ტრიქოფიტია, მიკროსპორია, ფავუსი, ეგზემა, დერმატიტი, ასევე ეფექტურია ნეკრობაქტერიოზის, ჩლიქის სიდამპლის, ფსოროფტოზისა და სარკოფტოზის (მუნი) დროს.

გამოყენების წესი და დოზები

გამოყენების წინ მაღამოს გულდასმით ურევენ, რადგან დიდხანს შენახვის დროს შეიძლება პრეპარატში შემავალი კომპონენტები ფენებად განლაგდნენ. წასმა ხდება დაზიანებულ უბანზე თხელ ფენად და 2-4სმ მის ირგვლივ. დაზიანებულ კერას ამუშავებენ დღეში 1-2ჯერ, მკურნალობა გრძელდება გამოჯანმრთელებამდე, როცა შეიმჩნევა დაზიანებული უბნის გათავისუფლება და ბალანის წამოზრდა. 10 დღის

შემდეგ აუცილებელია დაზიანებული კანის მიკროსკოპული კონტროლი. აღმძვრელის აღმოჩენის შემთხვევაში მკურნალობას იმეორებენ.

გვერდითი მოვლენები

პრეპარატის გამოყენებისას გვერდითი მოვლენები არ აღინიშნება. შეიძლება აღინიშნოს გადამეტებული მგრძობელობა პრეპარატის კომპონენტების მიმართ.

უკუჩვენებები

უკუჩვენებები დადგენილი არ არის.

განსაკუთრებული მითითებები

პრეპარატთან მუშაობის დროს დაიცავით პირადი ჰიგიენა და ვეტერინარულ პრეპარატებთან მუშაობის უსაფრთხოების პირობებით გათვალისწინებული წესები.

შენახვის პირობები

პრეპარატი ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას არაუმეტეს 25°C-ზე.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტექსი, საქართველო.